შპს პროდიუს ინვესმენტი

ფინანსური ანგარიშგება

2023წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შინაარსი

1. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფ.ა. მომზადებაზე---------- 2
2. დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა ----------3
3. აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე ----------4
4. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ----------6
5. მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება ---------7
6. ფულადი ნაკადების ანგარიშგება ----------8
7. საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება ----------9
8. ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ----------10

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-2 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პროდიუს ინვესტმენტი"-ს (შემდგომში - „კომპანია") ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში კომპანიის ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისათვის („მსს ფასს") შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პრინციპების და პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული მსს ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.
- ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
- კომპანიაში ეფექტური შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2024 წლის 31მაისს

დირექტორი	მთავარი ბუღალტერი
ამირან წკრიალაშვილი	ინდირა ჭიჭინაძე
2024 წლის 31მაისს	2024წლის 31მაისს

შპს ბესტ აუდიტი
აუდიტორულ-საკონსულტაციო კომპანია

LTD BEST AUDIT
AUDIT-CONSULTING COMPANY

ქ. თბილისი 0154, ა. წერეთლის გამზირი N57
ტელ: 599 19 77 11

A. Tsereteli Avenue N57, Tbilisi 0154, Georgia
Tel: 599 19 77 11

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

შპს „პროდიუს ინვესტმენტ"-ის მენეჯმენტს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „პროდიუს ინვესტმენტი"-ს (შემდგომში - „კომპანია") თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა განმარტებით შენიშვნებს („ფინანსური ანგარიშგება").

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი" - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგის გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ მსს ფასს") შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დაგვნიშნეს 2024 წლის 12 თებერვალს, შესაბამისად 2023წლის ბოლოს ჩვენ ვერ დავაკვირდით კომპანიის მარაგების ინვენტარიზაციას. კომპანიის მარაგების სპეციფიკადან გამომდინარე, ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2023 წლის ბოლოს მდგომარეობით არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების რაოდენობების სისწორეში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 651024ლარის ოდენობით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ სასაქონლო-მატერიალურ მარაგებთან დაკავშირებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აგრეთვე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების ანგარიშგების ელემენტებში. აღნიშნული ფაქტის არსებითი ეფექტის გამო კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება სასაქონლო- მატერიალური მარაგების 2023 წლის 31 დეკემბრით არსებულ ნაშთზე მოდიფიცირებულია.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ შპს „პროდიუს ინვესტმენტ"-ისაგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული

მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „პროდიუს ინვესტმენტ"-ის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან შპს „პროდიუს ინვესტმენტ"-ის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები

და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს „პროდიუს ინვესტმენტ"-ის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას. დაკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე. ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა. ჩვენი დასკვნი დაფუძნებულია აუდიტის მტკიცებულებებზე, რომლებიც მიღებულია ჩვენი აუდიტის დასკვნის გაცემის თარიღამდე. თუმცა, მომავალმა გარემოებებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის ფუნქციონირების უწყვეტობის შეწყვეტა.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ასევე მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბის, ვადების, აუდიტორული მსჯელობის და აუდიტის პროცესში შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

ნუნუ ფაღავა (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-516755)

შპს „ბესტ აუდიტი"

31 მაისი 2024 წ.

თბილისი, საქართველო

LTD "BEST AUDIT"

შპს "პროდიუს ინვესტმენტ" ს/კ 418467867

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	585 835	684 090	751 507
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-		
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში		415 000	-	27 100
სულ გრძელვადიანი აქტივები		**1 000 835**	**684 090**	**778 607**
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	4	2 609 689	1 490 967	1 785
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	4 171 814	2 401 995	841 071
მარაგები	6	651 024	848 837	1 015 644
მოთხოვნები პერსონალის მიმართ		-		-
გაცემული სესხები	7	8 080 423	-	-
საგადასახადო აქტივები		316 138	203 544	38 777
მისაღები დივიდენდები და პროცენტები		150 291	-	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		**15 979 379**	**4 945 341**	**1 897 276**
მთლიანი აქტივები		**16 980 214**	**5 629 432**	**2 675 883**
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		259 650	-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		4 269 928	1 247 724	778 277
სულ კაპიტალი		**4 529 578**	**1 247 724**	**778 277**
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	8	8 028 759	749 738	740 689
ანარიცხები		132 254	96 603	16 627
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**8 161 013**	**846 342**	**757 315**
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	4 271 748	3 535 366	1 140 290
გადასახდელი პროცენტი		17 875	-	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**4 289 623**	**3 535 366**	**1 140 290**
მთლიანი ვალდებულებები		**12 450 636**	**4 381 708**	**1 897 606**
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		**16 980 214**	**5 629 432**	**2 675 883**

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2024წლის 31 მაისს

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

შპს "პროდიუს ინვესტმენტ" ს/კ 418467867
სრული შემოსავლების ანგარიში
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
ამონაგები	10	14 490 696	14 151 997
თვითღირებულება	11	(10 986 467)	(12 597 113)
საერთო მოგება		**3 504 229**	**1 554 883**
სხვა შემოსავლები		866 000	3 999
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	12	(1 204 321)	(988 615)
მიწოდების დანახარჯები		(143 014)	(72 583)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა		43 330	-
სხვა ხარჯები		-	(20 605)
საოპერაციო მოგება		**3 066 224**	**477 078**
ფინანსური შემოსავალი		150 291	6 689
ფინანსური ხარჯი		(28 958)	(1 813)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		121 333	4 877
მოგება დაბეგვრამდე		**3 187 557**	**481 955**
მოგების გადასახადი			
წმინდა მოგება		**3 187 557**	**481 955**
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით			
მთლიანი სრული შემოსავალი		**3 187 557**	**481 955**

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2024წლის 31 მაისს

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

შპს "პროდიუს ინვესტმენტ" ს/კ 418467867

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	15 425 951	17 719 678
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	23 382	
ზარალის დასაფარავად (ზიანის ასანაზღაურებლად) მიღებული თანხები		
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(9 345 533)	(13 268 619)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(1 955 110)	(1 334 215)
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(2 209 777)	(1 425 782)
გადახდილი მოგების გადასახადი	-	(86 636)
გამოყენების შეზღუდული უფლების მქონე ანგარიშებზე განთავსება		
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(413 430)	(356 319)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	**1 525 483**	**1 248 106**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
მიღებული სესხი	(8 080 423)	133 784
მიღებული პროცენტები	-	6 689
მიღებული დივიდენდები	866 000	520 000
სხვა შემოსულობანი / განაცემები საინვესტიციო საქმიანობიდან (ნეტო)	(415 000)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	**(7 629 423)**	**660 473**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
შემოსულობანი აქციების ემისიისაგან / კაპიტალის ზრდისაგან	259 650	27 100
სესხების აღება	7 791 343	402 022
სესხების დაფარვა	(703 314)	(389 235)
გადახდილი პროცენტები	(10 529)	(18 877)
გადახდილი დივიდენდები	**(96 000)**	(430 000)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	**7 241 150**	**(408 990)**
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	(18 488.50)	(10 407)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	**1 118 722**	**1 489 182**
~~ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:~~	~~1 490 967~~	~~1 785~~
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	**2 609 689**	**1 490 967**

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2024წლის 31 მაისს

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

შპს "პროდიუს ინვესტმენტ" ს/კ 418467867

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	კაპიტალი არამაკონტროლებელი წილის გარეშე	მთლიანი კაპიტალი
2020წლის 31 დეკემბერი	**-**	**1 011 561**	**(373 684)**	**637 877**
წმინდა მოგება	-	143 577		143 577
სხვა სრული შემოსავალი	-	-		-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	143 577	-	143 577
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები	-	(3 177)	-	(3 177)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-		-
2021 წლის 31 დეკემბერი	**-**	**1 151 961**	**(373 684)**	**778 277**
წმინდა მოგება	-	481 955		481 955
პერიოდის სრული შემოსავალი	-	481 955	-	481 955
მიღებული დივიდენდი		520 000	-	520 000
გაცემული დივიდენდი	-	(532 508)	-	(532 508)
2022წლის 31 დეკემბერი	**-**	**1 621 408**	**(373 684)**	**1 247 724**
წმინდა მოგება	-	3 147 971		3 147 971
სხვა სრული შემოსავალი	-	-		-
კაპიტალის ზრდა/შემცირება	259 650	(64 300)		195 350
პერიოდის სრული შემოსავალი	259 650	3 083 671		3 343 321
გაცემული დივიდენდი	-	(101 053)		(101 053)
2023წლის 31 დეკემბერი	**259 650**	**4 604 027**	**(373 684)**	**4 489 993**

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2024წლის ---

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

შპს "პროდიუს ინვესტმენტ" ს/კ 418467867

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პროდიუს ინვესტმენტ“ (შემდგომში კომპანია) დაარსებულია 2016 წლის 25 ოქტომბერს, საიდენტიფიკაციო კოდი 418467867, მარეგისტრერიბელი ორგანო-სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ, გორი. რ. სტურუას ქ.8. მესაკუთრე: ამირან წკრიალაშვილი (პ/ნ 59001031338)-100%. დირექტორი:ამირან წკრიალაშვილი(პ/ნ 59001031338).

შპს „პროდიუს ინვესტმენტ“ ახორციელებს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობას, ბეტონის პროდუქციის წარმოებას სამშენებლო მიზნებისათვის, ტექნიკის და მოწყობილობების იჯარას საქართველოს მაშტაბით.

კომპანიას შექმნილი აქვს ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „ინვესტ გრუპი“ (ს/კ 205437534) სს ჩაქირ იაფი სანაი ვე თიჯარეთ-ის საქართველოს ფილიალთან ერთად. ერთობლივი საქმიანობის მიზანია ელექტრონული ტენდერების მოგება, შემსყიდველებთან შესაბამისი ხელსეკრულების გაფორმება და ტენდერების პირობებითა და გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ჯეროვნად შესრულება.

კომპანიამ 2023 წლის აპრილის თვეში დაარსა ფილიალი ესპანეთში სახელწოდებით Produce Investment Spain A.G.S.I. SL საიდ.კოდი B-4497699 .

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი ორგანიზაციის პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“მსს ფასს”) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2023წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით -ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებასა პროგნოზირებად მომავალში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში.

სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია აქტივიდან სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივები გაუფასურებაზე ფასდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური აქტივები ითვლება გაუფასურებულად, თუ არსებობს ობიექტური რწმუნება იმისა, რომ ერთი ან მეტი ფაქტორის გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის წარმოქმნის შემდეგ და მომავალში მისაღებ ფულად სახსრებზე აქვს უარყოფითი გავლენა. აღნიშნული კომპანიას ავალდებულებს შეაფასოს მომავალში მისაღები ფულადი სახსრები. მეორეს მხრივ, აღნიშნული შეფასებები არ არის ბოლომდე სანდო, რადგან მოიცავს მომავალ დაშვებებს. მნიშვნელოვანმა და განუჭვრეტელმა ცვლილებებმა, იმ დაშვებებსა და შეფასებებში, რომლებიც მონაწილეობენ გაუფასურების დაანგარიშებაში, შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი სხვაობა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაციისგან.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებებიშემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულებით გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადაწილებისთვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულებას სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნისვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მიმდინარე საბანკო და სადეპოზიტო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს.

დებიტორები დავალიანება

დებიტორული დავალიანება ძირითადად შედგება მყიდველებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მიწოდებული საქონლის ღირებულების მოთხოვნებისაგან.

მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ასახვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსურ ანგარიშგებაში დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან ასახულია მოთხოვნებს გამოკლებული უიმედო ვალები.

კრედიტორული დავალიანება

კრედიტორული დავალიანება აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას. ვალდებულება აღირიცხება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებულ მონაცემებსა და მიმდინარე დაშვებებზე დაყრდნობით. ვალდებულება არ დისკონტირდება ფულის დროით ღირებულებასთან მიმართებაში. ვალდებულების ჩამოწერა ხდება მისი დაფარვის მოთხოვნის ვადის გასვლის, შეწყვეტის ან გაუქმებისას.

კრედიტორული დავალიანება რომლის დაფარვის ვადა ბალანსის შედგენიდან ერთ წელზე მეტია აისახება როგორც გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანება.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

საწარმო სასაქონლო-მატერიალურ მარაგებს ასახავს უწყვეტი აღრიცხვის საშუალებით, ხოლო ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი ღირებულების ანუ საშუალო ფასთა მეთოდით, რაც მდგომარეობს იმაში, რომ რეალიზებული (ჩამოწერილი) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების განსაზღვრა ხდება გასაშუალებული ფასების მიხედვით რეალიზაციის ან ჩამოწერის ყოველი კონკრეტული მომენტისათვის.

სასაქონლო მარაგების ღირებულება მოიცავს შეძენის და მათ ადგილზე და პირობებში მიტანისას გაწეულ ხარჯებს.

საანგარიშო წლის ბოლოს ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი დანაკლისი ჩამოწერილია ბალანსიდან ინვენტარიზაციის აქტის საფუძველზე. ვადაგასული და გამოსაყენებლად უვარგისი საქონელი ნადგურდება აქტით სპეციალური სამსახურის მიერ. ბასს 2-ის მიხედვით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით, სადაც ნეტო(წმინდა) სარეალიზაციო ღირებულება არის „ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით". მათ შორის უმცირესის არჩევა განპირობებულია წინდახედულობის პრინციპით.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულების დადგენა უნდა ხდებოდეს ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს.

ძირითადი საშუალებები და ცვეთა

ყველა ძირითადი საშულება აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო

ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

შენობა-ნაგებობები	5%
ოფისის აღჭურვილობა	15%
კომპიუტერული ტექნიკა	15%
სატრანსპორტო საშუალებები	20%

ძირითადი საშუალებების შეძენის თვე ცვეთის დარიცხვის მიზნებისათვის აიღება როგორც სრული თვე, ხოლო ძირითადი საშუალებების გასვლის თვე ცვეთის დარიცხვის დროს არ გაითვალისწინება.
როდესაც ხდება ქონების ჩამოწერა ან სხვა სახით ცვლილება, ღირებულება და ცვეთა გადაიტანება ფინანსური ანგარიშგებიდან და ამასთან დაკავშირებული ყველა სახის მოგება ან ზარალი აისახება შემოსავლების უწყისში.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა ხდება გაყიდვის შემდეგ ან, როდესაც მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად. ძირითადი საშუალებების ჩამოწერისას წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი (გამოთვლილი, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) შეტანილია იმ წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის ჩამოწერა.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით
იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებას
კომპანიის წესდებაში (მათ შორის ცვლილებას საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში
და ა.შ) ხორციელდება კომპანიის დამფუძნებლების მიერ.
აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების
აკუმულირებულ მოგება-ზარალს.
დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულებები იმ პერიოდისათვის, რომელშიც
გამოცხადდა.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ქართულ ლარებში ოპერაციის დღისთვის დადგენილი კურსების შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში დომინირებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება ლარებში ფინანსური ანგარიშგების შედგენის დღეს არსებული გაცვლითი კურსების შესაბამისად. საკურსო სხვაობებიდან მიღებული ფინანსური შედეგი აისახება იმ პერიოდის მოგება–ზარალის ანგარიშგებაში როდესაც ის წარმოიშვა.

ვალუტის გაცვლითი კურსი

შპს "პროდიუს ინვესტმენტ" ს/კ 418467867

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31დეკემბერი 2023	31დეკემბერი 2022
ლარი/1აშშდოლარი	2,6894	2,702
ლარი/1ევრო	2,9753	2,8844

პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ბალანსში, მაგრამ წარმოდგენილია ანგარიშსწორებისას სახსრების ნებისმიერი გადინების შესაძლებლობის არსებობამდე. პირობითი აქტივი ბალანსში არ აისახება, მაგრამ წარმოდგენილია იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური მოგების მიღებაა ნავარაუდევი.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელებიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

გადასახადები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია ახორციელებს ბევრ ოპერაციას და გაანგარიშებას, რომელთათვისაც საბოლოო დაბეგვრის საკითხები განსაზღვრული არაა. შედეგად კომპანია საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს სავარაუდო შეფასებების საფუძველზე. შესაბამისად, კომპანია თვლის, რომ შეიძლება არსებობდეს გარკვეული პრობლემური არეები დეკლარაციებში, რომელთა ამომწურავად დასაბუთება შესაძლოა ვერ მოხერხდეს საგადასახადო შემოწმებისას. შედეგად კომპანია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს ამასთან დაკავშირებული რისკები. სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზის და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, კომპანია თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია.

საგადასახადო დაბეგვრა

აუდიტირებადი პერიოდისათვის საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით მოგების გადასახადი 15%-ს შეადგენს, საშემოსავლო-20%, დღგ-18%-ს.

გადასახადების გამოთვლა და გადახდა ხდება შესაბამისი პერიოდებისათვის მიხედვით საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით.

საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად საანგარიშგებო პერიოდში არ წარმოქმნილა გადავადებული გადასახადი ან საგადასახადო აქტივი.

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან

პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

შემოსავალი მომსახურების გაწევიდან

თუ ოპერაცია მომსახურების გაწევას გულისხმობს და შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება, საწარმომ ამ ოპერაციასთან დაკავშირებული ამონაგები უნდა აღიაროს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშებო პერიოდის ბოლოს. მომსახურების გაწევის ოპერაციის შედეგის საიმედოდ შეფასება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

(ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;

(ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში.

(გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასებასაანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და

(დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

თუ მომსახურების გაწევა ხდება განუსაზღვრელი რაოდენობის მრავაჯერადი აქტის შედეგად გარკვეული პერიოდის განმავლობაში, საწარმო ამონაგებს აღიარებს თანაბარზომიერად, მომსახურების გაწევის მთელი პერიოდის განმავლობაში, თუ არ არსებობს იმის საფუძველი, რომ რომელიმე სხვა მეთოდის გამოყენებით უფრო ზუსტად შეიძლება მომსახურების შესრულების სტადიის ასახვა. როდესაც რომელიმე აქტი/მოქმედება უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ნებისმიერი, ამონაგების აღიარება გადავადდება მნიშვნელოვაინ აქტის შესრულებამდე.

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ მთლიანი ეკონომიკური შემოსავლები პერიოდის განმავლობაში წარმოიშობა კომპანიის ჩვეული საქმიანობის პირობებში, მათი საიმედოდ შეფასება შესაძლებელია და ამ ოპერაციის შედეგად იზრდება საკუთარი კაპიტალი, მესაკუთრეთა მხრიდან დამატებითი ინვესტირების გარეშე.

ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლებს შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ

შპს "პროდიუს ინვესტმენტ" ს/კ 418467867

სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ბალანსში აქტივად აღიარების მოთხოვნებს

შპს "პროდიუს ინვესტმენტ" ს/კ 418467867

შენიშვნა 3 - ძირითადი საშუალებები

ლარში	მიწა	შენობა-ნაგებობები	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	ჯამი
2020 წლის ბოლოს მდგომარეოით	**189 670**	**173 492**	**577 159**	**11 884**	**57 447**	**244 289**	**1 253 941**
შესყიდვა	-	25 347	13 296	5 364	-	38 639	82 646
გასვლა	-	-	1 186	5 689	-	-	6 875
2021 წლის ბოლოს მდგომარეოით	**189 670**	**198 839**	**589 269**	**11 559**	**57 447**	**282 928**	**1 329 712**
შესყიდვა	-		-	3 934	-	31 482	35 416
გასვლა	-		11 000				11 000
2022წლის ბოლოს მდგომარეოით	**189 670**	**198 839**	**578 269**	**15 493**	**57 447**	**314 410**	**1 354 128**
შესყიდვა	-			9 017			9 017
გასვლა	-		2 797				2 797
2023წლის ბოლოს მდგომარეოით	**189 670**	**198 839**	**575 472**	**24 510**	**57 447**	**314 410**	**1 360 348**
დაგროვილი ცვეთა							-
2020წლის ბოლოს მდგომარეობით	-	18 172	324 890	10 456	55 580	76 927	486 025
ცვეთის ხარჯი	-	10 379	51 363	1 951	-	33 278	96 971
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა			(943)	(3 848)			(4 791)
2021 წლის ბოლოს მდგომარეობით	-	28 551	375 310	8 559	55 580	110 205	578 205
ცვეთის ხარჯი		10 684	51 881	2 055	-	38 213	102 833
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა			(11 000)				(11 000)
2022 წლის ბოლოს მდგომარეობით	-	39 235	416 191	10 614	55 580	148 418	670 037
ცვეთის ხარჯი		10 684	50 831	4 120		41 637	107 272
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა			(2 797)				(2 797)
2023წლის ბოლოს მდგომარეობით	-	49 920	464 225	14 734	55 580	190 055	774 513
საბალანსო ღირებულება							-
2021 წლის ბოლოს	189 670	170 288	213 959	3 000	1 867	172 723	751 507
2022 წლის ბოლოს	189 670	159 604	162 078	4 879	1 867	165 992	684 091
2023 წლის ბოლოს	189 670	148 919	111 248	9 776	1 867	124 355	585 835

შპს "პროდიუს ინვესტმენტ" ს/კ 418467867

შენიშვნა-4

ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ლარში	31.12.2023	31.12.2022
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	1	1
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	2 546 345	1 490 965
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	63 343	1
ს უ ლ:	2 609 689	1 490 967

შენიშვნა-5

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31.12.2023	31.12.2022
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	4 128 168	2 336 439
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	(3 639)	107
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	47 285	65 449
ს უ ლ:	4 171 814	2 401 995

შენიშვნა- 6

მარაგები

ლარში	31.12.2023	31.12.2022
საქონელი	33 633	-
ნედლეული და მასალები	127 203	259 516
დაუმთავრებელი წარმოება	-	-
მუალედური ანგ.დაუმთავრებელი წარმოება	488 030	586 186
მზა პროდუქცია, ბლოკი	2 159	2 159
პემზა ვულკანური ასპინძის მარაგი	-	-
ოკამში დასაწყობება	-	976
	-	-
ს უ ლ:	651 024	848 837

შენიშვნა-7

გაცემული სესხები

	31.12.2023	31.12.2022
სესხი ესპანეთში შვილობილი კომპანიაზე	7 537 923	-
შპს წმ მიქაილ მტავარანგელოზის სახ კლინიკა	542 500	-
ს უ ლ:	8 080 423	-

კომპანიას სესხი გაცემული აქვს: 1) ესპანეთის ფილიალისთვის (შვილობილისთვის), წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 8%-ს და 2) სპს წმინდა მიქაილ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო წლიური საპროცენტო განაკვეთის 13,93%.

შენიშვნა-8

სესხები	31.12.2023	31.12.2022
სესხები პარტნიორებისგან(	-	338 084
გრძელვადიანი სესხიდამფუძნებლისგან	-	349 170
გრძელვადიანი სესხები	8 028 759	62 484
სულ:	**8 028 759**	**749 738**

სესხები საბანკო ინსტიტუტებიდან დენომინირებულია ევროებში,გრძელვადიანი სესხების დაფარვის ვადაა 2028 წლის დეკემბერი, საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 8%-ს

სესხები	2023	2022
საწყისი ნაშთი	749 738	740 689
საპროცენტო ხარჯი		1 813
მიღებული სესხი	7 691 343	337 584
ძირი თანხის გადახდა	(703 314)	(328 535)
გადახდილი პროცენტი		(1 813)
გადაფასების ეფექტი	290 991.93	
სულ მიღებული სესხი	**8 028 759**	**749 738**

შენიშვნა-9

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

ლარში	31.12.2023	31.12.2022
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	2 277 174	245 059
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1 992 623	3 290 307
მიღებული ავანსები	-	-
ფიზიკურ პირებზე გაცებული განაცემი, რომელიც არ იბეგრება	1 950	-
ს უ ლ:	**4 271 748**	**3 535 366**

შენიშვნა-10

ამონაგები

ლარი

	31.12.2023	**31.12.2022**
შემოსავალი რეალიზიციიდან	14 486 274	13 897 409
სხვა საოპერაციო შემოსავლები	4 422	254 587
ს უ ლ:	**14 490 696**	**14 151 997**

შპს "პროდიუს ინვესტმენტ" ს/კ 418467867

შენიშვნა -11

თვითღირებულება

ლარი	31.12.2023	31.12.2022
ძირითადი მასალების დანახარჯები/შეძენა	10 982 430	12 348 382
გაყიდული/შეძენილი საქონელი	4 037	248 732
ს უ ლ:	**10 986 467**	**12 597 113**

შენიშვნა -12

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ლარი	31.12.2023	31.12.2022
შრომის ანაზღაურება	393 732	410 805
სოციალური დანარიცხები (საპენსიო ორგანიზ. 2%)	63 995	45 489
სამეურნეო ხარჯი, დამხმარე საქ ,საოფისე ინვენტარი	19 218	3 256
საკონსულტაციო , საოფისე, მტარგმნელობითი ხარჯები	11 791	
კომუნიკაციის ხარჯები	-	178
დაზღვევა	900	41 231
საკონსულტაციო ხარჯები	-	5 085
ცვეთა და ამორტიზაცია	107 272	102 833
სხვა საგადასახადო ხარჯი	5 507	6 356
სხვა საერთო ხარჯი	601 906	373 384
საიჯარო ქირა	-	-
ს უ ლ:	**1 204 321**	**988 615**

ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად.

ითვლება, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც ლიკვიდურია და/ან აქვთ მოკლევადიანი გადახდის ვადა, ახლოსაა მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

მენეჯმენტის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე.

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიის მიერ გამოყენებული ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთაგან ფინანსური რისკი წარმოიქმნება შემდეგია:

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.

საკრედიტო რისკის წინაშე კომპანია დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად. საკრედიტო რისკი წარმოიშვება მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს კომპანიისთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. კომპანიას შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

ფინანსური აქტივები, რომელიც შესაძლებელია განისაზღვროს კომპანიის საკრედიტო რისკად, ძირითადად მოიცავს მომსახურების, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშვება კომპანიის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ კომპანია აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებსა და მის საქმიანობაზე. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

კომპანიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივი და ვალდებულება, თუმცა ამგვარის შემთხვევაში მიბმული იქნება ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

კომპანიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი სავალუტო ან საპროცენტო განაკვეთის რისკები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში N24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა და წარმოადგენენ:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ კომპანიას, კონტროლდებიან მის მიერ ან კომპანიასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);
(ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;
(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც კომპანია არის დამფუძნებელი;
(დ) კომპანიის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;
(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.
ე.ი. ბასს 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები") მიხედვით, მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. შესაძლო დაკავშირებული მხარეების თითოეული შემთხვევის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას, არამედ იმასაც, თუ როგორია მათ შორის ურთიერთობა. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ განხორციელდეს იმავე პირობებზე და თანხებზე, როგორზეც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

	2023წ	2022წ
ხელფასი	619979	735818

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:
-უზრუნველყოს კომპანიის უნარიანობა გააგრძელოს თავის საქმიანობა ისე, რომ მფლობელები შემოსავლით უზრუნველყოს; და
-უზრუნველყოს ადეკვატური შემოსავალი მფლობელებისთვის მომსახურების შეფასებით რისკის დონის თანაზომიერად.
კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების ცვლილებების გათვალისწინებით.
აღნიშნულის განსახორციელებლად, შესაძლებელია კომპანიამ დააკორექტიროს დამფუძნებლებისთვის გადასახდელი დივიდენდების თანხა, დაუბრუნოს კაპიტალი დამფუძნებელს, გაზარდოს საწესდებო კაპიტალი ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

გაუთვალისწინებელი გარემოებები

დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია. შესაბამისად, მსოფლიოში მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულად ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიას გააჩნია სურვილი განახორციელოს სრული სადაზღვევო დაფარვა თავის უძრავ ქონებაზე, ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე, ასევე დაზღვეულია თანამშრომლების ჯანმრთელობა.

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირად იცვლება მისი საკანონმდებლო და ოფიციალური დებულებები, სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანია, წინააღმდეგობრივია და მათი ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარად წარმოებს.

აღნიშნული გარემო საქართველოში ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც უფრო არსებითია ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ იგი ადექვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტს სურვილი აქვთ, განავითაროონ კომპანია საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

სასამართლო დავები

2023 წლის განმავლობაში კომპანიას სასამართლო დავები არ ჰქონია.

ფინანსური ანგარიშგების შემდგომი მოვლენები

2023 წლის 31 დეკემბრის შემდგომ არ მომხდარა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც საჭიროებს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენას.